თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 5

ქ. თელავი 21.05.2024 წელი

თავმჯდომარეობდა: **ზურაბ ლილუაშვილი**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **უჩა ჭოტიაშვილი; თამარ ხატიაშვილი; ოთარი ესიტაშვილი; გიორგი ხაჭაპურიძე; გიორგი ქართლელიშვილი; იმედა კევლიშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: დეპუტატები: **დავით ღაღანიძე; ზურაბ მოსახლიშვილი; ზურაბ მუსაევი; ზაზა ტატულიშვილი; ივანე კირვალიძე; ნიკოლოზ მაისურაძე.** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი - **ტარიელ გალახვარიძე;** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - **დავით ნუსხელიძე;** საკრებულოს საორგანიზაციო განყოფილების უმცროსი სპეციალისტი - **ნინო ასანაშვილი;** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პიარის სპეციალისტი - **ნიკოლოზ ესიტაშვილი.**

თავმჯდომარემ კომისიის სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა დღის წესრიგი

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი - ზ. ლილუაშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის კვარტალური (3 თვის) მიმოხილვის შესახებ.

მომხსენებელი - ზ. ლილუაშვილი

<u>**მოისმინეს**</u> 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

<u>**აზრი გამოთქვეს:**</u> ზ. ლილუაშვილმა ისაუბრა ბიუჯეტში ცვლილებასთან დაკავშირებით. მან განმარტა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებული პროექტი ეხება თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანას, რომლის მიზანია ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დაფინანსება, კერძოდ, ქ. თელავში სოლომონ ლიონიძის ქუჩის II შესახვევში სანიაღვრე კოლექტორის მოწყობის

სამუშაოებისათვის თანხის მობილიზებას, რომლის გათვალისწინებითაც თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი განისაზღვრება 70711,98 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნულიდან გამომდინარე - შემცირდეს გზების კაპიტალური შეკეთების (კოდი 02 01 01) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 100,0 ათასი ლარით, გამოთავისუფლებული თანხის გათვალისწინებით;

გაიზარდოს ჩამდინარე წყლების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ღონისძიებების (კოდი 02 02 03) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 100,0 ათასი ლარით, ქ. თელავში სოლომონ ლიონიძის ქუჩის II შესახვევში სანიაღვრე კოლექტორის მოწყობის სამუშაოების და საზედამხედველო მომსახურების ანაზღაურებისათვის.

საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე. მომხრე ყველა.

<u>გადაწყვიტეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტი, წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

<u>მოისმინეს 2:</u> თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის კვარტალური (3 თვის) მიმოხილვის შესახებ.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> ზ. ლილუაშვილმა ზოგადად ისაუბრა მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების კვარტალური (3 თვის) მიმოხილვასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა რომ თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი 3 თვის განმავლობაში განისაზღვრა 70441.96 ათასი ლარის ოდენობით.

აქედან, შემოსავლების გეგმა 3 თვის განმავლობაში დაგეგმილი იყო 7875.46 ათასი ლარით. ფაქტიურმა შემოსავლებმა შეადგინა 8327.03 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა 105.73%-ით. გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 5969.33 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა 101.04%-ით. დამატებითი ღირებულების გადასახადი შესრულდა 101.4%-ით; ქონების გადასახადი შესრულდა 90.35%-ით. გრანტებიდან მიღებული შემოსავლები შესრულდა 96.24%-ით. დაგეგმილი იყო 858.61 ათასი ლარი ფაქტმა შეადგინა 826.36 ათ. ლარი.

სხვა შემოსავლები შესრულდა გადაჭარბებით 138.06% -ით. დაგეგმილი იყო 1109,15 ათასი ლარი და ფაქტმა შეადგინა 1531,34 ათასი ლარი. აქედან შემოსავლები საკუთრებიდან დაგეგმილი იყო 393,0 ათასი ლარი და შემოსავალმა შეადგინა 591,11 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა გადაჭარბებით 150,41%-ით. შესრულების ყველაზე დიდი წილი მოდის პროცენტებიდან მიღებულ შემოსავლებზე 156,9%, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა, და სხვა) გადაცემიდან მიღებულ შემოსავლებზე 125,25%, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის 132,68%.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია - დაგეგმილი იყო 375,0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტმა შეადგინა 371,39 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა 99,04%-ით.

ჯარიმებიდან და საურავებიდან შემოსავლების გეგმა შესრულდა 132,71% -ით.

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 170,72 ათასი ლარი. დაგეგმილი იყო 41,15 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა გადაჭარბებით.

არაფინანსური აქტივების კლებიდან გეგმა შესრულდა 67,02 % -ით. დაგეგმილი იყო 300,0 ათასი ლარი. მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 201,06 ათასი ლარი.

სულ შემოსულობების გეგმა სამი თვის განმავლობაში შესრულდა 104,31% -ით. 2024 წლის პირველ კვარტალში დაგეგმილი იყო 8175,46 ათასი ლარი. მიღებულმა საკასო შემოსავლებმა კი შეადგინა 8528,09 ათასი ლარი.

რაც შეეხება გადასახდელებს 3 თვის განმავლობაში შესრულდა 86,04%-ით. დაგეგმილი იყო - 1641,92 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 14120,27 ათასი ლარი.

2024 წლის 01 აპრილისთვის ნაშთი ასე გამოიყურება: 5700,94 ათასი ლარი - სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერიდან, მიზნობრივი ტრანსფერიდან ნაშთი და სხვა ტრანსფერიდან ნაშთი, ხოლო 8776,52 ათასი ლარი - ადგილობრივი ბიუჯეტიდან. ნაშთის ცვლილებამ პერიოდის განმავლობაში შეადგინა (-5592,18) ათასი ლარი.

თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 3 თვის განმავლობაში ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაიხარჯა 29,2 ათასი ლარი.

<u>**გადაწყვიტეს:**</u> თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების კვარტალური (3 თვის) მიმოხილვა შეფასდეს დადებითად (თან ერთვის) და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე ზ. ლილუაშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების კვარტალური (3 თვის) მიმოხილვის შეფასება

საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 85-ე მუხლის თანახმად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილი იქნა „თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების კვარტალური (3 თვის) მიმოხილვა“

2024 წლის 21 მაისს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ განხილულ იქნა „თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების კვარტალური (3 თვის) მიმოხილვა“.

წარმოდგენილი მიმოხილვის მიხედვით, თელავის მუნიციპალიტეტის კვარტალური (3 თვის) გეგმა შემოსულობების მიხედვით 104,31%-ით შესრულდა. (გეგმა - 8175,46 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 8528,09 ათასი ლარი), ხოლო გადასახდელების კუთხით შესრულებამ 86,04% შეადგინა (გეგმა - 16411,92 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 14120,27 ათასი ლარი).

ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილში გასულ წელთან შედარებით შესამჩნევი ზრდა გვაქვს, ხოლო გადასახდელების კუთხით შესრულების მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით თითქმის თანაბარი მაჩვენებელია და ზრდის ტენდენცია არ შეინიშნება.

2023 წლის შემოსულობების გეგმა შესრულდა 98,50%-ით (გეგმა - 7596,99 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 7482,71 ათასი ლარი). გადასახდელების გეგმა შესრულდა 88,10%-ით (გეგმა - 13001,72 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 11455,16 ათასი ლარი).

რაც შეეხება თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის შემოსულობას კომპონენტების მიხედვით, 2024 წელს მიღებული შემოსულობების დიდი წილი მოდის შემოსავლებზე - 8327.03 ათასი ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების კლებამ 201.06 ათასი ლარი შეადგინა.

2024 წლის ბიუჯეტის შესრულების კვარტალური (3 თვის) მაჩვენებლების მიხედვით, თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შევსების ძირითად წყაროს წარმოადგენს დამატებული ღირებულების გადასახადი (5794.94 ათასი ლარი); ქონების გადასახადი (174.38 ათასი ლარი); გრანტებიდან შემოსავალი (826.36 ათასი ლარი) და სხვა შემოსავლები (1531.34 ათასი ლარი). გასული 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების კვარტალური (3 თვის) შევსების დიდი წილი ანალოგიურად მოდიოდა დამატებული ღირებულების გადასახადზე (5280,61 ათასი ლარი); ქონების გადასახადზე (265,63 ათასი ლარი); გრანტებიდან შემოსავალზე (139,48 ათასი ლარი) და სხვა შემოსავლებზე (1499,22 ათასი ლარი)

რაც შეეხება ხარჯების შესრულებას კომპონენტების მიხედვით დიდი წილი მოდის სუბსიდიის მუხლზე (2024 წლის 3 თვე - 3926,54 ათასი ლარი, 2023 წლის 3 თვე - 3453,96 ათასი ლარი); არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლზე (2024 წლის 3 თვე -

4411.94 ათასი ლარი, 2023 წლის 3 თვე - 4219,56 ათასი ლარი); საქონელი და მომსახურების მუხლზე (2024. წლის 3 თვე - 1567,81 ათასი ლარი; 2023 წლის 3 თვე - 1355,60 ათასი ლარი). გასულ წელთან შედარებით თითქმის ყველა მუხლში არის ზრდა.

თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების კვარტალური (3 თვის) მიმოხილვის მიხედვით, 2024 წლის 01 აპრილის მდგომარეობით არსებული ნაშთი ასე გამოიყურება: 5700,94 ათასი ლარი - სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერიდან, მიზნობრივი ტრანსფერიდან ნაშთი და სხვა ტრანსფერიდან ნაშთი. ხოლო 8776,52 ათასი ლარი - ადგილობრივი ბიუჯეტიდან. ნაშთის ცვლილებამ პერიოდის განმავლობაში შეადგინა (- 5592,18) ათასი ლარი.

ამდენად, თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების კვარტალური (3 თვის) მიმოხილვა, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ შეაფასა დადებითად.